ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შპს „შენ ჯორჯია"

საფუძველი: 16.01.2014წ. №12/14016310-16

მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქიზიყის ქ. №18 (ნაკვეთი №003/005)

საკ.კოდი: №01.19.24.003.005

პროექტის შეთანხმების ბრძანება: №01/2223 05.10.2010წ.

მშენებლობის ნებართვა: №6/2441-1 05.10.2010წ.

ფუნქციური დანიშნულება: საწარმოო შენობა-ნაგებობა. IV-კლასი.

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (20.03.14) დადგინდა:

„6-1" ფასადი: „6-6" ღერძთან +1.000 ნიშნულთან კედელი ნაწილობრივ შესაფუთია. „1^1-1" მონაკვეთში არ არის მოწყობილი რკინის სალიდური კარები. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

„1-6" ფასადი: „4^1-5^1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები და საჩრდილობელი. „3-4" მონაკვეთში სახურავზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. „2-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. „2-2^1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია პანდუსი.

„A-B" ფასადი: „A-A1" მონაკვეთში +1.000 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია 3.95-მ სიმაღლის და 5$მ^2$-ის მქონე ფართი. „A2-A3" მონაკვეთში სლაიდურის ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი კარი, ასევე დამატებით მოწყობილია პანდუსი, აღნიშნულ მონაკვეთში +14.500 ნიშნულთან არ აისახება სახურავის კონტური. „B-B" ღერძთან კედელი ნაწილობრივ შესაფუთია.

„B-A" ფასადი: „B-A4" მონაკვეთში რკინის კარს მონაცვლებული აქვს ადგილი „A3-A2" მონაკვეთისკენ, აღნიშნული კარი სლაიდურის ნაცვლად ორფრთიანია. „A4-A3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კარი და პანდუსი. „B-B" და „A-A" ღერძებთან კედლები ნაწილობრივ შესაფუთია.

გაზრდილია რეზერვუარების რაოდენობა, აღნიშნულ რეზერვუარებთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები, ლითონის სვეტები და საჩრდილობელი. „A-A2" და „6-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ანტრესოლები, ლითონის კიბე და ლითონის კონსტრუქცია. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კონსტრუქციული სქემა. სახურავზე დამატებით მოწყობილია ზენიტური განათებები.

ფასადებზე ბეტონის კედლები გაზრდილია სიმაღლეში. რკინის ცხაურებს შორის დამატებით მოწყობილია შუაკედლისები. შეცვლილია კარ-ფანჯრების გაბარიტი და ნახატი.

შეამოწმა: ო. ანდრონიკაშვილი